ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N51

ქ.თბილისი 27 დეკემბერი, 2019 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ირაკლი ზარქუა

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი	ლევან არველაძე
რამინა ბერაძე	გიორგი ბირბიჩაძე
ოთარ გრიგოლია	გულია გოცირიძე
ბექა დავითულიანი	ლევან დავითაშვილი
ლევან დარახველიძე	გიორგი დოხტურიშვილი
ერეკლე კუხიანიძე	თევდორე ისაკაძე
ნინო ლაცაბიძე	ანა ლაშხი
ქეთევან მამულაშვილი	გიორგი მუსხელიშვილი
შალვა ოგბაიძე	ნინო რუხაძე
ლევან ჟორჟოლიანი	თამარ ტალიაშვილი
დათო რურუა	ვახტანგ შაქარიშვილი
რევაზ სოხაძე	გიორგი ჩაკვეტაძე
დავით უთმელიძე	ვლადიმერ ძნელაძე
თარაშ შურღაია	ავთანდილ ცინცაძე
ილია ჯიშკარიანი	დავით ჭელიძე
ქეთევან ჯოხაძე	ალექსანდრე ხუჯაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგეები;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი გვენეტაძე;

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ უფროსი რომეო მიქაუტაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომაზე თბილისის მერი წარადგენს 2019 წლის შემაჯამებელ ანგარიშს. მისი თქმით, 2019 წელი იყო უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ურბანული და ეკოლოგიური პოლიტიკის განვითარების და გაუმჯობესების კუთხით. ასევე, განვიხილავთ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტს, რომელიც კიდევ უფრო გაზრდილია და შესაბამისად, მომავალი წლის განმავლობაში, კიდევ უფრო მეტი პროექტის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში";

მომხსენებელი: კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ";

მომხსენებელი: კახა კალაძე
თანამომხსენებელი: ირაკლი ხმალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

4. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

5. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

6. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

7. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი „საქსოფმანქანა"), IV კვარტლის კორპუსი 11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

8. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

9. „ქ.თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

10. „ქ.თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ.N6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ.: N72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

11. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი N4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის" (ს/ნ.: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

12. „ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.007.031) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის" (ს/ნ:N402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

13. „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ.: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი გვენეტაძე

14. „შპს „ოპტიმასთვის" (ს/ნ.: 405160819) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ილია ელოშვილი

15. „შპს „ცერერასთვის" (ს/ნ.: 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ილია ელოშვილი

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

17. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.065; N01.17.10.008.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

18. „ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.059 და N01.14.05.007.467) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

19. „ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

20. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

21. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ.N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული გახაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

22. „ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარცხენა სანაპიროსა და ა.მირცხულავას 9/11-ის მიმდებარე ამხანაგობა „გეომერიდიანი“-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტები) შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის N01/14 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გიორგი ებანოიძე

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში“ საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა კახა კალაძემ. მან მადლობა გადაუხადა თბილისის საკრებულოს და მთავრობის წევრებს, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში ჩართულები არიან ქალაქის განვითარებაში და მედიის წარმომადგენლებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება დედაქალაქში მიმდინარე პროექტების განხორციელების შესახებ. მისი თქმით, 2019 წელი იყო დატვირთული, რთული, საქმიანი და წარმატებული, განხორციელდა ბევრი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტი. „ქართული ოცნების“ გუნდი ახორციელებს წინასაარჩევნოდ გაცხადებულ შვიდ პოლიტიკას, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თბილისი, რაც შეიძლება მალე გახდეს „სიცოცხლით სავსე ქალაქი“. „სიცოცხლით სავსე ქალაქი“ ნიშნავს ბედნიერ ადამიანებს, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოს, ყველა მოქალაქისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ, მაღალი ხარისხის სახელმწიფო სერვისებს,

მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურასა და სატრანსპორტო სისტემას. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნის მიზნით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, განხორციელდა ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი, მათ შორის: თბილისის ყველა რაიონში, გამგეობების მიერ შესრულებული სკვერების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოები ქალაქის გამწვანების მიმართულებით და ე.წ. ბეტონის გზაგამყოფების მოწესრიგება. მისი თქმით, ამ მიმართულებით, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მოგვარდეს ქალაქში არსებული ფიჭვების პრობლემა და უკვე დაწყებულია შესაბამისი სამუშაობი, კერძოდ, მოიჭრა 40000 დაავადებული ფიჭვი და პარალელურად მიმდინარეობს მათი ჩანაცვლების პროგრამა. გამწვანების ფარგლებში, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სამ დიდ და ერთ პატარა პარკს; სრულდება სამი დიდი პარკის მოწყობის სამუშაოები; 2020 წელს, თემქის ხევში, ზღვის უბნის დასახლებაში, 24 ჰექტარ დაჭაობებულ მიწის ნაკვეთზე, მუნიციპალიტეტი დაიწყებს საქალაქო მნიშვნელობის პარკის მოწყობის სამუშაოებს, რომელიც დასრულდება დაახლოებით ორი წლის შემდეგ; დასრულდა ვაკის პარკის რეაბილიტაციის წინასაპროექტო სამუშაოები; 20 შადრევანს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. კახა კალაძემ განაცხადა, რომ თბილისი უნდა იყოს ყველასთვის კომფორტული ქალაქი და ამ მიზნით, დაწყებულია სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგების პროექტების განხორციელება, რის შედეგადაც თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი იქნება მოწესრიგებული და გამართული, ხოლო მგზავრობა - სწრაფი და უსაფრთხო. დაწყებულია მუშაობა მეტროს მიმართულებით, როგორც სარეაბილიტაციო სამუშაოების, ასევე ვაგონების ჩანაცვლების კუთხით. ასევე, მნიშვნელოვანია ტაქსების მიმართულებით დაწყებული რეფორმაც, რომლის განხორციელების პროცესში, ყველა ახალი სტანდარტი დაინერგა ისე, რომ ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს დამატებით ტვირთად არ დაწოლოდათ. აღსანიშნავია ასევე, რომ ზონალურ-საათობრივ პარკირებასთან დაკავშირებით, წარმატებით განხორციელდა ორი საპილოტე პროექტი და აქედან გამომდინარე, დაგეგმილია ამ პროექტის განხორციელება თბილისის სხვადასხვა ქუჩებზეც. კახა კალაძის თქმით, დღეს, თბილისში მიმდინარეობს უპრეცედენტო რაოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა განხორციელება ხდება არა ზედაპირულად, არამედ ფუნდამენტურად. ამ მიმართულებით კაპიტალურად შეკეთდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა არაერთ ქუჩას, განხორციელდა და ეხლაც ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორებიცაა: ვეკუასა და ხიზანიშვილის ქუჩებზე, ჭავჭავაძის გამზირსა და კახეთის გზატკეცილზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. განაცხადა, რომ „თბილისი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი დედაქალაქია და ამ ისტორიით სავსე ქალაქის მემკვიდრეობას განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება". სწორედ ამიტომ, დღევანდელი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ძველი თბილისის რეაბილიტაცია, რა მიმართულებითაც უკვე დასრულდა ორბელიანის მოედნის და მიმდებარე ქუჩების სრული რეაბილიტაცია, რომლის დროსაც განახლდა კულტურული მემკვიდრეობის 18 ძეგლი, მიმდინარეობს მშრალი ხიდისა და ზაარბრუკენის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები, 9 მარტისა და დედაენის ბაღების სრული რეაბილიტაცია, ასევე, გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია. მისი თქმით, ზემოთ ჩამოთვლილი პროექტები შეკრავს ერთობლივ ტურისტულ მარშრუტს და ეს არეალი გახდება თბილისის ერთ-ერთი მთავარი „ბრენდ-მარკა". განაცხადა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ქალაქის მოწესრიგება მნიშვნელოვანია, თუმცა თბილისის მთავარი ღირებულება და ხიბლი მისი მაცხოვრებლები - რიგითი თბილისელები არიან და „ჩვენ, ყველა ერთად მივაღწევთ კეთილდღეობის იმ ხარისხს, რომელსაც ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანები იმსახურებენ". თბილისის მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დედაქალაქის მაცხოვრებლებს შეუმსუბუქოს ყოფა და მაქსიმალურად დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ხელისუფლების თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება. სწორედ ამიტომ, თბილისის ბიუჯეტის თითქმის მესამედი იხარჯება სოციალურ პროექტებზე და 2020 წლის ბიუჯეტშიც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად, არის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები. კახა კალაძის თქმით, „სიცოცხლით სავსე ქალაქს" ვერ შევქმნით ჯანსაღი და განათლებული მომავალი თაობის გარეშე და სწორედ ამიტომ, განათლება და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი

საკვანძო პრიორიტეტია. ამ მიმართულებით, უამრავ საინტერესო პროექტთან ერთად, ხორციელდება მულტიფუნქციური ახალგაზრდული ცენტრების პროგრამა და მალე, თითქმის ყველა მუნიციპალური სერვისი მოქცეული იქნება ერთ სივრცეში. კახა კალაძემ განაცხადა, რომ „ჩვენი გუნდი, მომავალ წელს, კიდევ უფრო მეტ პროექტს განახორციელებს, კიდევ უფრო მეტად გაალამაზებს ქალაქს, მოაწესრიგებს ინფრასტრუქტურას და ახალი, გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში, ყველა იმ გამოწვევის გადალახვას შევეცდებით, რაც დედაქალაქისა და მოქალაქეების წინაშე დგას". საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი, ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით და დახმარებით, საგრძნობლად გაზრდილია, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოგვარდეს ქალაქში არსებული პრობლემები, განხორციელდეს უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი და იმედი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტის ხელისუფლება უპასუხებს ყველა გამოწვევას და გადალახავს სირთულეებს.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს, მთავრობის წევრებს და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც მთელი წლის განმავლობაში, თავდაუზოგავად შრომობდა იმისთვის, რომ 2019 წელს დაგეგმილი მნიშვნელოვანი პროექტები წარმატებით განხორციელებულიყო.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

თამარ ტალიშვილის თქმით, თბილისის ბაგა-ბაღებში განხორციელებულმა რეფორმებმა, საერთაშორისო ორგანიზაციების და მათ შორის, გაეროს ბავშვთა ფონდის მხრიდან მიიღო საკმაოდ მაღალი შეფასება. აღსანიშნავია, რომ ამ რეფორმების უკან დგანან ბაგა-ბაღების ღირსეული თანამშრომლები, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენს მომავალ თაობაზე. ცნობილია, რომ დაგეგმილია მათთვის ხელფასის მატება, თუმცა, საინტერესოა კონკრეტული თარიღი, როდიდან დაიწყება გაზრდილი ანაზღაურების გაცემა.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ქალაქში დაწყებულია ძალიან კარგი პროცესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ კეთდება ბევრი რამ და აქედან გამომდინარე, ჩვენ თანამოქალაქეებს კიდევ უფრო მეტის გაკეთების სურვილი უჩნდებათ და კარგი იქნება, თუ ავჭალაში, დოდო აბაშიძის ქუჩაზე დაიგეგმება სანიაღვრე არხის მოწყობა. აქვე აღნიშნა, რომ სატრანსპორტო სისტემაში შემავალი სუბიექტების მუშაობის სინქრონიზაციისთვის აუცილებელია დედაქალაქში ფეხით მოსიარულეთათვის საგზაო უსაფრთხოების ამაღლება, გზების დახაზვა და საგზაო ნიშნების ინტენსიური გამოყენება.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ანაზღაურება გაეზარდათ სამხედრო მოსამსახურეებს, პოლიციელებს და იმ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად დგანან ჩვენი ქვეყნის სამსახურში. განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტსაც ჰყავს „ჯარისკაცები" - საბავშვო ბაღების აღმზრდელები და პედაგოგები, „თბილსერვის ჯგუფის" მეეზოვეები, „ეკოსერვისის" მებაღეები და სხვა მრავალი ადამიანი, რომლებიც ყოველდღიურად, ფაქტობრივად უანგაროდ, ემსახურებიან ჩვენ ქალაქს და რომლებსაც აქვთ „შეურაცხმყოფელი ანაზღაურება". აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ არ არის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილი ამ ადამიანებისთვის ხელფასების მატება. ვახტანგ შაქარიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ დაგეგმილი იყო დოლიძის ქუჩის რეაბილიტაცია და მიუხედავად იმისა, რომ პროექტი შესყიდულია, მისი განხორციელება ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტით არ არის გათვალისწინებული და დაინტერესდა, 2020 წელს, იგეგმება თუ არა ქალაქისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქუჩის რეაბილიტაცია, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია.

გიორგი ჩაკვეტაძე დაინტერესდა, ხომ არ არის მოსალოდნელი რაიმე შეფერხება მულტიფუნქციური კომპლექსების მშენებლობასთან დაკავშირებით და ხედავს თუ არა მუნიციპალიტეტი კერძო სექტორის ჩართულობას ამ მიმართულებით.

დავით ჭელიძემ აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონში, მანჯგალაძის ქუჩა არის სავალალო მდგომარეობაში და დაინტერესდა, 2020 წლის ბიუჯეტით იქნება თუ არა შესაძლებელი იქ არსებული პრობლემის მოგვარება.

გულია გოცირიძე დაინტერესდა, შესაძლებელი იქნება თუ არა გმირ კურსანტთა ქუჩაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა და შესაბამისად, ასფალტის საფარის განახლება და ასევე, იგეგმება თუ არა ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

თევდორე ისაკაძე დაინტერესდა, როდის დასრულდება ტრანსპორტის სფეროში დაგეგმილი ინსტიტუციური ხასიათის ცვლილებები, რაც განაპირობებს ამ დარგის გადასვლას ადმინისტრირების თანამედროვე მეთოდებზე.

ერეკლე კუხიანიძემ იმედი გამოთქვა, რომ მასა და „ქართული ოცნების“ გუნდს შორის ურთიერთობა გაგრძელდება ქალაქის სასიკეთოდ. აღნიშნა, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი ძალისხმევის და შრომის შედეგად, თბილისში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა ვერ მოხერხდა მისი გეგმის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის კიდევ უფრო გაძლიერებას და მმართველობაში ხალხის შემოყვანას. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, აპირებს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება ყურადღება მიაქციოს მის პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის ჩართულობას სახელმწიფოს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ქეთევან ჯოხაძემ აღნიშნა, რომ მრავალი წლის მანძილზე გადაუწყვეტელი პრობლემა იყო ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების კეთილმოწყობა. თუმცა, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, მუხიანის ოლქში, ერთ-ერთ შემოერთებულ ტერიტორიაზე დაიწყო ამ პრობლემის მოგვარება და შეიქმნა საგზაო ინფრასტრუქტურა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ავტობუსების რესურსის ძოძიება, თუნდაც ისე, რომ ამ ქუჩების მოსახლეობამ უახლოეს მეტრომდე მაინც შეძლოს გადაადგილება. ქეთევან ჯოხაძე ასევე დაინტერესდა, დაიწყებს თუ არა მომსახურების გაწევას დასუფთავების სამსახური ამ ახალ ქუჩებზე.

ირაკლი ზარქუამ ითხოვა დეტალური განმარტებები იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ერთეული მიკროავტობუსის შეძენაა დაგეგმილი, ვის მიერ მოხდება მათი შესყიდვა და იმოქმედებს თუ არა აღნიშნული სამგზავრო ტარიფზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერმა და მისმა მოადგილეებმა უპასუხეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ განმარტა, რომ საბავშვო ბაღების თანამშრომლების ხელფასების მატება მოხდება ცენტრალიზებულად, 2020 წლის სექტემბრიდან. დოდო აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, თბილისის თითქმის ყველა რაიონში არსებობს ისეთი ქუჩები, სადაც მიწისქვეშა კომუნიკაციების თვალსაზრისით, ძალიან მძიმე მდგომარეობაა, თუმცა ვერც მერიის საქალაქო სამსახური და ვერც გამგეობა ვერ აწარმოებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რადგან მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების ვალდებულება ეკისრება კომპანიას „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“. აქვე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს კომპანიასთან და ყველა ქუჩაზე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას ცდილობს ჩართოს კომპანია, რათა პარალელურად განხორციელდეს მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების სამუშაოები და ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც, მუნიციპალიტეტი კომპანიასთან ერთად, მიიღებს ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას. რაც შეეხება გზების დახაზვას და საგზაო მონიშვნებს, განმარტა, რომ ამ მიმართულებით სამუშაოების წარმოება განხორციელდება მთელი ქალაქის მასშტაბით. მულტიფუნქციური კომპლექსების მშენებლობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არავითარი შეფერხება არ არის მოსალოდნელი, ხოლო რაც შეეხება ფასებს, მუნიციპალიტეტის მიზანია, რომ სერვისი ყველა

თაობის ადამიანისთვის იყოს ხელმისაწვდომი. მანჯგალაძის ქუჩაზე არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც მოსაწესრიგებელია მიწისქვეშა კომუნიკაციები და მუნიციპალიტეტი ეცდება, რომ პროექტის განხორციელების სამუშაოები დაიწყოს მომავალ წელს. ანალოგიური სიტუაციაა გმირ კურსანტთა ქუჩაზეც და შესაბამისი სამუშაოები განხორციელდება გამგეობის დახმარებით. აქვე აღნიშნა, რომ დაგეგმილია მეტრო ახმეტელის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. კახა კალაძემ მზადყოფნა გამოთქვა ერეკლე კუხიანიძის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ თუნდაც ოპოზიციურად და კრიტიკულად განწყობილი ადამიანის საინტერესო ხედვა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით, მისასალმებელია და დედაქალაქის მერია ყოველთვის მზად არის მოისმინოს და გაიზიაროს ნებისმიერი ადამიანის მოსაზრება. ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ავტობუსების არასაკმარისი რაოდენობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ ბევრ უბანში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ან საერთოდ არ მოძრაობს, ან იმდენად მცირე რაოდენობით მოძრაობს, რომ ადამიანებს ძალიან დიდხანს უწევთ მათი ლოდინი. თუმცა, დედაქალაქის მერია ყველაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად და სწორედ იმისთვის, რომ თბილისში არ დარჩეს არც ერთი რაიონი და უბანი, სადაც არ იმოძრავებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ხორციელდება არა მხოლოდ ავტობუსების არსებული პარკის ჩანაცვლება, არამედ მიმდინარეობს დამატებითი ავტობუსების შეძენაც. რაც შეეხება ქალაქის შემოერთებული ტერიტორიების დასუფთავებას, აღნიშნა, რომ დასუფთავების სამსახური ისევე მოემსახურება ამ ქუჩებსაც, როგორც ამას ახორციელებს მთელი თბილისის მასშტაბით.

ირაკლი ხმალაძემ უპასუხა ირაკლი ზარქუას შეკითხვას მიკროავტობუსებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ 2011 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ დედაქალაქის მოსახლეობას მიკროავტობუსებით მოემსახურებოდა კერძო კომპანია და შესაბამისად, მოხდა ნებართვების გაყიდვა, რომლებსაც ვადა აქვთ 2030 წლამდე. ყველასთვის ცნობილია, რომ თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის იაფი და აქედან გამომდინარე, ისევე, როგორც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის შემთხვევაში, სამარშრუტო კომპანიის ხარჯი აღემატება მის შემოსავალს, რაც დადასტურებულია აუდიტორული დასკვნით. დღეს არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიკროავტობუსებმა ამოწურეს რესურსი და არ შეიძლება ასეთ მდგომარეობაში მყოფი მიკროავტობუსების ექსპლოატაციაში ყოფნა. კომპანიის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნებოდა მათი მხრიდან მიკროავტობუსების შეძენა მგზავრობის ტარიფის გაძვირების გარეშე. მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ბიუჯეტის სახსრებით მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც შეძენილი იქნება 300 მიკროავტობუსი, ხოლო მას შემდეგ, რაც კომპანია მოახდენს ფინანსური რესურსის მობილიზებას, განახორციელებს, როგორც დამატებითი მიკროავტობუსების შემოყვანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილის გამოსყიდვას. ირაკლი ხმალაძემ ასევე, უპასუხა მულტიფუნქციურ კომპლექსებში კერძო სექტორის მონაწილეობასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას და განმარტა, რომ იმდენად დიდია თითოეული კომლექსის მშენებლობისთვის საჭირო კაპიტალური დანახარჯი, რომ კერძო სექტორს გაუჭირდება მისი ოპერირება და ამასთანავე, არსებული სერვისების სატარიფო სისტემა ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

მაია ბითაძემ უპასუხა თევდორე ისაკაძის მიერ დასმულ შეკითხვას ტრანსპორტის სფეროში დაგეგმილ ინსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ მუშაობა მიმდინარეობს სამი მიმართულებით: სატრანსპორტო მოძრაობის ახალი სქემების შემუშავება, სატრანსპორტო გენერალური გეგმის შემუშავება და სატრანსპორტო ჭკვიანი სისტემის დანერგვა, რომლებიც საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და ავტობუსების შემოყვანასთან ერთად, მოგვცემს იმის შესაძლებლობას, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი მართული იყოს ერთიანი ელექტრონული სისტემით და ასევე, სრულად იქნას

დაკმაყოფილებული ის საჭიროებები, რომლებიც აქვს, როგორც თბილისის განაშენიანებულ, ასევე შემოერთებულ რაიონებს. აქვე აღნიშნა, რომ ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის დანერგვის პირველადი კვლევის შედეგები იქნება რამდენიმე თვეში და ყველა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა დაიგეგმება სატრანსპორტო გენერალური გეგმის მიხედვით, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი ავტობუსების უსაფრთხო და დროულ გადაადგილებას.

ირაკლი ბენდელიანმა უპასუხა ვახტანგ შაქარიშვილის შეკითხვას დოლიძის ქუჩის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ წელს გამოცხადებული იყო ტენდერი პროექტირებაზე, თუმცა გამარჯვებულმა კომპანიამ პროექტი ვერ წარმოადგინა და აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა ამ პროექტის ხელახალი გაშვება ბაზრის კვლევაზე, რომლის დასრულების შემდეგაც გამოცხადდება ტენდერი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ბექა დავითულიანმა მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს, მერიის წარმომადგენლებს და საკრებულოს წევრებს, ორი წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობისთვის და იმედი გამოთქვა, რომ თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი მოგვცემს კიდევ უფრო მეტი საქმის გაკეთების საშუალებას. მისი თქმით, დღევანდელი ხელისუფლების მიზანია დედაქალაქის შეცვლა უკეთესობისკენ და თითოეული მათგანი ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობს იმ შემართებით, რომ თბილისი იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე ის იყო მათი ხელისუფლებაში მოსვლამდე. დღევანდელი ხელისუფლება, მოწესრიგებული სატრანსპორტო სისტემით და უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნით, შეძლებს იმ მიზნის მიღწევას, რომ თბილისი გახდეს უფრო კომფორტული ქალაქი და ყველა დაინახავს, რომ დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი გამოიყენეს მაქსიმალურად ოპტიმალურად იმისთვის, რომ შესრულებულიყო ყველა დაპირება. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „ჩვენ, მოქალაქეებთან ერთად, ამ შემართებით, ბევრად კარგ ქალაქს ჩავაბარებთ მომავალ თაობებს“ და დარბაზში მყოფ საზოგადოებას და თბილისის მოსახლეობას წარმატებული 2020 წელი უსურვა.

რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება, რაც სასიხარულო და მისასალმებელია. მან კახა კალაძეს მადლობა გადაუხადა ჩუღურეთის რაიონში, პაატა საკაძის ქ.N19-ში, გაუსაძლის საცხოვრებელ პირობებში მყოფი 200-მდე ოჯახის სახელით, რომლებსაც უახლოეს მომავალში, საკუთრებაში გადაეცემათ ახალი საცხოვრებელი ფართები და იმ 200 ოჯახის სახელით, რომლების საკუთრებაში არსებული, ნგრევის პირას მისული, კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციაც დაიწყო. მადლობა გადაუხადა ასევე: კავკასიის უნივერსიტეტის 5000-მდე სტუდენტის სახელით, რომლებსაც, ქალაქის მერის და რაიონის გამგეობის ხელშეწყობით, ინფრასტრუქტურულად მოუწესრიგდათ უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია; იმ სამი საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლების სახელით, რომელთა ბაღები უნდა გაუქმებულიყო, თუმცა ქალაქის მერის ძალისხმევით, უტარდებათ რეაბილიტაცია და მალე, ახალი სტანდარტების საბავშვო ბაღები იქნება; იმ არაერთი ადამიანის სახელით, რომლებსაც მერმა, პირადი გადაწყვეტილებით, სიცოცხლე შეუნარჩუნა. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ „კაცი სიტყვით, საქმით და ოჯახით ფასდება... ხალხის სამსახური, ყველაზე ღირსეული სამსახურია“ და ქალაქის მერს მადლობა გადაუხადა ერთგულებისთვის, თბილისსა და თბილისელებზე ზრუნვისთვის.

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ამაყობს თბილისის განვითარებისთვის მიმდინარე პროსეცებში მონაწილეობით და ისაუბრა, მისი აზრით, ქალაქისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ოთხ პრიორიტეტზე, რომლებიც, მომავალი თაობებისთვის იქნება საამაყო. ესენია: ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც, ქმნის ერთის მხრივ, ქალაქის იერსახეს, ხოლო მეორეს მხრივ, სამუშაო ადგილებს, რაც ხელს უწყობს ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას;

ტრანსპორტის განვითარება, რაც არ განხორციელებულა წლების მანძილზე; სოციალურად დაბალანსებული ბიუჯეტი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეებს გაცილებით შეუმსუბუქდათ მძიმე ყოფა; ეკოლოგია, რა მიმართულებითაც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები და ამ მხრივ, ქალაქი ძალიან სწრაფად და ეფექტურად მიდის წინ. აღნიშნა, რომ ბევრი წარმატების და წინ გადადგმული ნაბიჯის მიუხედავად, ქალაქში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა და განაცხადა, რომ დღევანდელი ხელისუფლება უპასუხებს ამ გამოწვევებს. საუბრის ბოლოს, ოთარ გრიგოლიამ მადლობა გადაუხადა მერიის წარმომადგენლებს ეფექტური მუშაობისთვის და ყველას, ვინც ჩართულია თბილისის უკეთესი მომავლისკენ მიმართული პროექტების განხორციელებაში.

გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი ასახავს წინასაარჩევნო პროგრამის ყველა პრიორიტეტს და 2020 წლის ბიუჯეტი მომხარდება ჩვენი თანამოქალაქეების უკეთეს მომავალს, რისთვისაც ყოველდღიურად, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობს დღევანდელი ხელისუფლება. განაცხადა, რომ იმ გუნდის გვერდით მუშაობა, რომლისთვისაც ფასეულია თბილისის განვითარება, დიდი პასუხისმგებლობაა და იმედი გამოთქვა, რომ 2020 წელს თბილისი იქნება იმაზე ბევრად უკეთესი ქალაქი, ვიდრე ის იყო აქამდე. საუბრის ბოლოს, დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

ვახტანგ შაქარიშვილმა აღნიშნა, რომ ერთი წლის წინ, ამ დროს, მისი განცხადებები და შეფასებები გაცილებით მეტი ოპტიმიზმით იყო გაჯერებული, ვიდრე ეს არის დღეს, რაც გამოწვეულია იმით, რომ შეიცვალა ბევრი რამ და ქვეყანაში რადიკალურად განსხვავებული სურათია იმასთან შედარებით, რისი მოლოდინებიც მას ჰქონდა. ვახტანგ შაქარიშვილმა ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც, მისი აზრით, ქალაქის მერის პასუხისმგებლობაა და რომლებთან დაკავშირებითაც საინტერესოა მისი პოზიცია. ესენია: გარე რეკლამის მონოპოლია; ბექა ოდიშარიასთვის მიწის მონაცვლეობის საკითხი; კუს ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა; რაგბის კავშირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე კომპანია „ანაგის“ მიერ წარმოებული მშენებლობა. ასევე, საინტერესოა, რითი ამართლებს ქალაქის მერი ვერეს ხეობაში, სტიქიის ზონაში, გაცემული ორი მასშტაბური მშენებლობის ნებართვას; რატომ ხდება ისე, რომ ქალაქის მერის მეგობრების კომპანიებს აქვთ პრივილეგიები და სხვა კომპანიებთან მიმართებაში არ არიან თანაბარ და სამართლიან პირობებში; რა პასუხი აქვს „ქართული ოცნების“ მთავრობის გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც ფხაკამეებს, კოსტა ხეთაგუროვის ძეგლის სანაცვლოდ, უნდა გადასცემოდათ რამდენიმე ათეული მილიონი ლარის ქონება. ვახტანგ შაქარიშვილი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მიკროავტობუსების, როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა ამ ეტაპზე ქალაქისთვის აუცილებელია, თუმცა, არც ერთი რაციონალური მიზნით არ აიხსნება ის გაუგებრობა, თუ რატომ უნდა მოხდეს სატრანსპორტო საშუალებების შეძენა ხვიჩა მაქაცარიას კომპანიისთვის თბილისის ბიუჯეტიდან იმიტომ, რომ კომპანიამ გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა. საუბრის ბოლოს, ვახტანგ შაქარიშვილმა თბილისის მერს წარმატებები უსურვა ქალაქისთვის სასიკეთო გადაწყვეტილებების მიღებაში და ობიექტურობისთვის აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები დღესაც ბევრია.

თამარ ტალიაშვილმა, ვახტანგ შაქარიშვილის მიერ გაჟღერებულ საკითხებზე აღნიშნა, რომ თითოეულ მათგანზე არა ერთხელ და არა ერთი პლატფორმიდან იქნა პასუხი გაცემული და განაცხადა, რომ თბილისში მიმდინარე ეკოლოგიური, სატრანსპორტო და თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის მიმართულებით განხორციელებული მასშტაბური რეფორმები ორიენტირებულია თბილისელების კეთილდღეობასა და თბილისის სოციალურ-ურბანული სივრცის მდგრად განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმების შედეგად, მივიღეთ ათეულობით აშენებული ბაგა-ბაღი, 3000-ზე მეტი სტუდენტი, რომლებსაც დაუფინანსდა სწავლის საფასური, 2000-ზე მეტი გადამზადებული და დასაქმებული პროფესიონალი კადრი, რეაბილიტირებული ხელოვნების სკოლები და მუზეუმები, რეაბილიტირებული ორბელიანის მოედანი, სამშენებლო კომპანიების მიერ 6000 დაზარალებული ოჯახისთვის დაბრუნებული მომავალი, თბილისი -

მსოფლიოს წიგნის დედაქალაქი 20-21 და სხვა მრავალი. საუბრის ბოლოს, თამარ ტალიაშვილმა წარმატებები უსურვა თბილისის მერს, მთავრობის წარმომადგენლებს, საკრებულოს წევრებს და თითოეულ თბილისელს.

დავით უთმელიძემ მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს ამომწურავი ანგარიშის წარდგენისთვის და განაცხადა, რომ „ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, რამდენი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება თბილისში". განაცხადა, რომ საბურთალოს რაიონში განხორციელებული არაერთი პროექტიდან განსაკუთებით მნიშვნელოვანია ტაშკენტის ქუჩიდან მაღალი ძაბვის ბოძების გადატანა, რასაც „ისტორიული" უწოდა და კანდელაკის ქუჩაზე „წითელი ბაღის" რეაბილიტაცია, რისთვისაც მადლობა გადაუხადა ქალაქის მერს და რაიონის გამგეობას. თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტს „ძალიან კარგი" უწოდა და ფრაქციის სახელით, მხარდაჭერა განაცხადა.

მარიკა დარჩიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისს აქვს ბევრი გამოწვევა, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია გარემოს დაცვის პრობლემების გადაჭრა და ამ მიმართულებით აღსანიშნავია მყარი ნარჩენების გადამუშავების პროექტის დაწყება, რადგან მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქალაქისთვის, არამედ ზოგადად, სახელმწიფოსთვის. ასევე, მისასალმებელია კულტურული პროექტების განხორციელება, რომლის შედეგადაც თბილისს ექნება არაერთი განახლებული ბიბლიოთეკა და მუზეუმი. საუბრის ბოლოს, მარიკა დარჩიამ დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა გაწეული საქმიანობისთვის, მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და წარმატებები უსურვა მათ.

ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მყოფი ადამიანები გადაწყვეტილებებს უნდა იღებდნენ არა პერსონალიებზე, არამედ კანონზე დაყრდნობით. „ქაროული ოცნების" გუნდს, ხელისუფლებაში მოსვლისას, დახვდა ძალიან ბევრი პრობლემა, რომლის გამოსწორების პროცესში, ყურადღება ექცევა არა პერსონალიებს, არამედ იმ პოზიტიურ შედეგებს, რომლებსაც მიაღწევს. ისაუბრა ოპოზიციონერი კოლეგების ხედვაზე, რასაც „ორმაგი სტანდარტი" და აღნიშნა, რომ ხელისუფლების მიერ გაკეთებული საქმეები დგას საჯარო მოხელეების და საჯარო მოსამსახურეების, მუნიციპალიტეტის სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებში დასაქმებული ადამიანების შრომაზე, რომლების ხელფასების გაზრდაზეც ხშირად აპელირებენ ოპონენტები, თუმცა, როდესაც ხდება ამ ადამიანების ანაზღაურების ზრდა, აპროტესტებენ. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ასეთი მიდგომა მიუღებელია და მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომლებიც, ბოიკოტის ნიშნად, არ ესწრებიან საკრებულოს სხდომას: „ბოიკოტს თქვენ არ უცხადებთ პერსონალიებს, ამ შემთხვევაში ან ჩვენ, ან თქვენს კოლეგებს, ბოიკოტს უცხადებთ თბილისს, თბილისელებს და მათ პრობლემებს".

გულია გოცირიძემ განაცხადა, რომ „ან ბრმა უნდა იყო, ან არ უნდა გიყვარდეს შენი ქვეყანა, რომ ვერ ხედავდე რაც კეთდება დღეს ქალაქში". ამას ხედავს ოპოზიციაც და უხარია, თუმცა მათი ვალდებულებაა გააკრიტიკოს ხელისუფლება. გულია გოცირიძის თქმით, კრიტიკა მისაღებია, თუმცა ის უნდა იყოს კონსტრუქციული. მუშაობის პროცესში, შესაძლებელია დაშვებული იქნას შეცდომები, თუმცა ხელისუფლება მზად არის გამოასწოროს ისინი. საუბრის ბოლოს, მიმართა ქალაქის მერს და მის გუნდს: „თქვენმა საქმემ წარმოგაჩინათ თქვენ... მთელი საზოგადოება ამაყობს დღეს თბილისით", მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, წარმატებები უსურვა მათ და იმედი გამოთქვა, რომ 2020 წელი იქნება კიდევ უფრო უკეთესი.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ იმ პოზიტიური პროექტებიდან, რომლებიც ხორციელდება თბილისში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხი, რომლის მოგვარებასაც ყველა გაურბოდა, რადგან ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა. ასევე, მნიშვნელოვანია კოოპერატიული ბინათმშენებლობის საკითხიც, რომლის გადაწყვეტაც დაწყებულია. მისი აზრით, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი მიღწევა არის დედაქალაქში ქაოტური მშენებლობების შეჩერება და ამ პროცესის ჩარჩოებში მოქცევა. აღსანიშნავია ასევე, ქალაქში მიმდინარე გამწვანებითი სამუშაოები, რასაც

ეკოლოგიური პრობლემის მოგვარების კუთხით, დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა, ამ მიმართულებით დაკარგული ათეულობით წლების გამო, საჭიროა კიდევ უფრო მეტის გაკეთება და იმედი გამოთქვა, რომ ეს შესაძლებელი იქნება ბიუჯეტში გამოჩენილი რესურსით. განაცხადა, რომ ჩვენი ქალაქის და „ქართული ოცნების" გუნდის ყველაზე „დიდი მონაპოვარი" არის ის, რომ განურჩევლად ყველას - ინვესტორს, ჩვენს თანამოქალაქეს თუ სტუმარს გაუღვივდა თბილისის პატივისცემის გრძნობა. ბედნიერია და ამაყობს იმით, რომ ორი წლის განმავლობაში, ჩართულია ქალაქისთვის მნიშვნელოვანი საქმის კეთებაში და იმედი გამოთქვა, რომ კიდევ ორი წლის შემდეგ, საამაყო გაცილებით მეტი იქნება.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ რევაზ სოხაძე ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ უნდა იზრუნო ქალაქის და უბნის გამწვანებაზე და ამისთვის მადლობა გადაუხადა მას. მისი თქმით, თბილისში ინფრასტრუქტურული პროექტები ყოველთვის ხორციელდებოდა და მომავალშიც განხორციელდება, თუმცა ქალაქის დღევანდელი ხელისუფლების მთავარი მახასიათებელი არის ხარისხი და როდესაც საქმე ხარისხიანად კეთდება, რა თქმა უნდა, განსხვავებულია ღირებულებებიც და დროც, რადგან ერთ დღეში ან ერთ კვირაში, შეუძლებელია ხარისხიანად თუნდაც ასფალტის დაგება. მისი თქმით, ქალაქში არის გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც 1-2 წელიწადში შეუძლებელია და არავის აქვს იმის ილუზია, რომ თუნდაც მომავალ წელს მოგვარდება ყველა არსებული პრობლემა, თუმცა, 2020 წელს მნიშვნელოვნად მოგვარდება ინფრასტრუქტურული და საზოგადოებრივი ტრანსპორტის კუთხით არსებული პრობლემები. საუბრის ბოლოს, ქალაქის მერს, მთავრობის წარმომადგენლებს და საკრებულოს წევრებს გაწეული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს მხარდაჭერისა და თანადგომისთვის და აღნიშნა, რომ ის, რაც ქალაქში გაკეთდა და კეთდება, არ არის მხოლოდ კახა კალაძე და მერიის თანამშრომლები, ეს არის მთელი გუნდის სიძლიერე და ერთობა. განაცხადა, რომ ქალაქში არის გამოწვევები და პრობლემები, რომლებსაც უფრო მეტი შემართებით, ძალისხმევით და ენთუზიაზმით უპასუხებს დღევანდელი ხელისუფლება, რადგან მზად არის ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ემსახუროს თბილისს და თბილისელებს და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი, 2020 წელი იქნება განსაკუთრებული ინფრასტრუქტურული პროეტების თვალსაზრისით, სიახლეებით და რეფორმებით. განაცხადა, რომ არასდროს მიუღია და არასდროს მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც დააზიანებს ჩვენს ქვეყანას, ქალაქს, პირადად მას და მის ოჯახს და აღნიშნა, რომ ყველაფერი რაც კეთდება, მიმართულია ჩვენი მომავალი თაობის უკეთესი მომავლის შექმნისკენ. მისი თქმით, ყველას უნდა, რომ ყოველი ახალი წელი იყოს უკეთესი, შევძლოთ ადამიანებისთვის ოცნებების ასრულება, ცხოვრების გალამაზება და ისეთი პოზიტიური განწყობის გაზიარება, რომელიც მთელი წელი გაჰყვებათ, რაშიც მნიშვნელოვანი როლი აქვთ პოლიტიკოსებსაც. ამიტომ, ამა თუ იმ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის და პოლიტიკური დაპირისპირების მიუხედავად, ყველამ უნდა შეძლოს საკუთარ თავზე მაღლა დადგომა, არ დაივიწყონ, რა არის მათი მთავარი საზრუნავი და საკუთარი ქვეყნის, ქალაქის და ხალხის სიყვარულით აკეთონ საქმე. კახა კალაძემ დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცა, ყოველივე საუკეთესო, ჯანმრთელობა, ბედნიერება, კეთილდღეობა და წარმატებები უსურვა დამსწრე საზოგადოებას, მთელ ქალაქს და ქვეყანას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ მოვისმინეთ საკმაოდ მნიშვნელოვანი ანგარიში. მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და მის გუნდს, საკრებულოს თითოეულ წევრს და იმ ათასობით ადამიანს, რომელიც ყოველდღიურად ძალიან ბევრს შრომობდა, რათა წარმატებით განხორციელებულიყო დაგეგმილი პროექტები და განაცხადა, რომ თბილისის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი არის იმის რეალური საფუძველი, რომ 2020 წელი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძემ და აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში, შეძლებისდაგვარად, გათვალისწინებულია საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების შენიშვნები და რეკომენდაციები. თბილისის ბიუჯეტი შეადგენს 1020000000 ლარს, თუმცა ამ ეტაპზე ასახული არ არის ყოველწლიური ნაშთი, რომელიც იქნება დაახლოებით 140000000 ლარი და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ, ავტობუსების შესაძენად გამოყოფილი სესხი 256000000 ლარის ოდენობით. განაცხადა, რომ 2020 წელს განსახორციელებელი ღონისძიებების მთლიანი ჯამი აღწევს 1400000000 ლარს და დეტალურად ისაუბრა ბიუჯეტის მაჩვენებლებზე. საშემოსავლო ნაწილზე განმარტა, რომ დაახლოებით 980000000 ლარი არის თბილისის საკუთარი შემოსავლები, რომელშიც შედის ქონების გადასახადი და დამატებითი ღირებულების გადასახადი, სპეცტრანსფერი და პრივატიზაცია. 2019 წლის გადაჭარბებული შემოსავლების ხარჯზე, დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მოახერხა ის, რომ ჩანაცვლების გარდა, მოხდება 100 ახალი ავტობუსის შესყიდვა; სამარშრუტო კომპანიასთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ტარიფის ზრდის გარეშე, დაიწყებოდა მიკროავტობუსების ჩანაცვლების პროგრამა, რისთვისაც გათვალისწინებულია 30000000 ლარი და ამ თანხით მუნიციპალიტეტი შეიძენს 300 ერთეულ მიკროავტობუსს; თანხები უკვე მობილიზებულია წაგავსაყრელ პოლიგონზე გაზშემკრები მოწყობილობის მშენებლობისთვის. ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა 2020 წელს განსახორციელებელ რამდენიმე მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტზე. ესენია: ორბელიანის მოედანზე, რამდენიმე კონკრეტულ მისამართზე, სამუშაოების დასრულება; გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია; ორბელიანის მოედნის მიმდებარედ ერთი ბლოკის რეაბილიტაცია - ჯორჯაძე, ფურცელაძე და თაბუკაშვილის ქუჩის ნაწილის რეაბილიტაცია; მელიქიშვილის გამზირზე არსებული ორი კულტურული ძეგლის რეაბილიტაცია; დაიწყება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის რეაბილიტაცია; დედაენის და 9 მარტის ბაღების რეაბილიტაცია. ასევე, მნიშვნელოვანია ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტები, მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დასრულება, ილია ჭავჭავაძის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება, ხიზანიშვილის და ვეკუას ქუჩებზე მიმდინარე სამუშაოების დასრულება. 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ქეთევან წამებულის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას გამზირების რეაბილიტაცია; უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან წყნეთის გზატკეცილის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობის დაწყება; ვეფხვი და მოყმის გზაგამტარი კვანძის პროექტის განხორციელების დაწყება. განათლების, სპორტის და კულტურის მიმართულებით, აღსანიშნავია მულტიფუნქციური კომპლექსების მშენებლობა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებისთვის მობილიზებულია საკმაოდ სოლიდური თანხა, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც ავტობუსების და მიკროავტობუსების მიმართულებით, ასევე მეტროს ვაგონების რეაბილიტაცია-მოდერნიზებისთვის და ახალი ვაგონების შეძენისთვის. ასევე, შეეხო გარემოს დაცვის მიმართულებით განსახორციელებელ მასშტაბურ ღონისძიებებს და აღნიშნა, რომ დაგეგმილია თემქის ხევის, ვაკის პარკის და გლდანის ტბის რეაბილიტაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 33

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

საკრებულოს სხდომაზე გამოცხადდა 30 წუთიანი შესვენება, რის შემდეგაც რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს ოცდარვა წევრმა.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ უფროსმა რომეო მიქაუტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით 2020 წლის განმავლობაში, დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების, ნაგავსაყრელი პოლიგონის მოვლა-პატრონობის, თოვლის დროს გზებზე მარილის მოყრის და დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების უზრუნველყოფას განახორციელებს შპს „თბილსერვის ჯგუფი“.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, როგორ მოხდება დარიცხვა და დავალიანების გადახდა ქვეაბონენტების შემთხვევაში.

რომეო მიქაუტაძემ განმარტა, რომ ქვეაბონენტი „თბილსერვის ჯგუფში“ განცხადების დაწერის და საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე დარეგისტრირდება, როგორც ძირითადი გადამხდელი და დარიცხვა მოხდება მასზე. შესაბამისად, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, აღარ მოხდება სერვისის შეზღუდვა იმ აბონენტისთვის, რომელზეც მიბმული იყო ქვეაბონენტი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

4. „ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტოს 2013 წლის 26 ნოემბრის NE-236-11-8619 ოქმით (ადმინისტრაციული დაპირება) გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ 2013 წელს პრივატიზებული იქნა მიწის ნაკვეთი იმ პირობით, რომ სამშენებლო განვითარების შემთხვევაში, მიწის ნაკვეთზე განთავსებული წყალსადენის ქსელის გამო, მშენებლობა უნდა შეთანხმებულიყო კომპანიასთან „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული წყალსადენის ქსელი დემონტირებულია. შესაბამისად, არ არსებობს შეზღუდვის საჭიროება და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ზემოთხსენებული პირობის გაუქმების საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლება, მეფრინველეობის ქუჩა, კოტეჯი N7ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.005.027.01.501) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ

წარმოდგენილია 42.79 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1985 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005.02.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32.44 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 1992 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში (ყოფილი „საქსოფმანქანა"), IV კვარტლის კორპუსი 11-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.007.015.01.012) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა ერთი ოჯახისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მ/რ, I კვ. კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებული 7750 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.14.01.007.350) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობების პრობლემის მოგვარების მიზნით, წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი. კერძოდ, მიწის ნაკვეთის ნაწილი საკუთრებაში რჩება ამხანაგობას, სადაც, შემცირებული სართულიანობით და კ2 კოეფიციენტით, განხორციელდება მშენებლობა

და სანაცვლოდ, მუნიციპალიტეტს გადაეცემა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მეორე მიწის ნაკვეთი.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის პირობადადებული მონაცვლეობა, რაც პირდაპირ კავშირშია ე.წ. დაუსრულებელი მშენებლობების პაკეტის შეკვრასთან და თუ ვერ მოხდება ამგვარი შეკვრა, ზემოთხსნებული ქონება დაბრუნდება თვითმმართველის საკუთრებაში.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ საკრებულოს განკარგულების პროექტი სრულად მიბმულია დამტკიცებული ხელშეკრულების პროექტზე, რომლის 8.1 და 8.2 პუნქტებით განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაუსრულებელი მშენებლობების კომისია, მშენებლობასთან დაკავშირებით, მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას, რომელსაც მხარს დაუჭერს თბილისის მთავრობა და საკრებულო. აღსანიშნავია, რომ ზემოთხსენებული უნდა მოხდეს ორი თვის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება ძალაში არ შევა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისში, ტიციან ტაბიძის I შესახვევი, N18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: 01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი, რაც გამოწვეულია ახალი გენ.გეგმით კერძო საკუთრებში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებით, კერძოდ, მოქალაქის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2, მიენიჭა სატყეო ზონის სტატუსი. აღსანიშნავია, რომ მოქალაქე არ ითხოვს მიწის ნაკვეთებს შორის არსებული ფასთა სხვაობის ანაზღაურებას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ.N6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ.: N72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის საკითხი, რაც გამოწვეულია კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ მოქალაქე, სამი თვის ვადაში, აანაზღაურებს მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ ფასთა სხვაობას.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

11. „ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა II ჩიხი N4-ის მიმდებარედ არსებული 17 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ.: N01.18.09.005.162) შპს „ბოსტონ დეველოპმენტისთვის" (ს/ნ.: 404535446) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქალაქ თბილისში, ათონელის ქუჩა N20-ის მიმდებარედ 81 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.15.04.007.031) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კომ ილ ფოსთვის" (ს/ნ:N402087317) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

13. „ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული 86 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.033.934) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „თ და კ რესტორნებისთვის" (ს/ნ.: 204909180) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს" უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი გვენეტაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „შპს „ოპტიმასთვის“ (ს/ნ.: 405160819) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა და გაწმარტა, რომ წარმოდგენილია კომპანია „სვეტის“ მშენებლობით დაზარალებულების საკითხის მოგვარება, რასაც ახორციელებს კომპანია „m²“. დეტალურად ისაუბრა ამ მიმართულებით განხორციელებულ სამუშაოებზე და აღნიშნა, რომ სამშენებლო პროექტი სრულად ითვალისწინებს დაზარალებული მოქალაქეების ინტერესებს და მისაღებია ქალაქის ურბანული განვითარების კუთხით. ილია ელოშვილმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ჩართული იყო აღნიშნული საკითხის მოგვარების პროცესში და იმედი გამოთქვა, რომ სამშენებლო სამუშაოები დაიწყება 2020 წლის იანვრის ბოლოს.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ათასობით ადამიანის კეთილდღეობას ეხება და მადლობა გადაუხადა თბილისის მთავრობის და საკრებულოს წევრებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ აღნიშნული საკითხის მოგვარებაში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „შპს „ცერერასთვის“ (ს/ნ.: 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ილია ელოშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუსრულებელი მშენებლობების პრობლემის მოგვარების საკითხი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში, მშენებლობა შედარებით მცირე მასშტაბიანია, ვიდრე წინა პროექტში.

ვახტანგ შაქარიშვილი დაინტერესდა, რა პრინციპით ხდება დაზარალებულებისთვის ბინების გადაცემა, კერძოდ, არის თუ არა რაიმე სახით პრიორიტეტიზაცია და რიგთან მიმართებაში დაცულია თუ არა სამართლიანობის პრინციპი.

ილია ელოშვილმა განმარტა, რომ დგება დაზარალებულების სია, რომლებისთვისაც საცხოვრებელი ფართების გადაცემა ხდება თანაბარ პირობებში, ყოველგვარი პრიორიტეტიზაციის გარეშე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

16. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე, განსახილველად წარმოდგენილია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერის წერილები: N12-031932947-03 თარიღი: 25.11.2019; N12-031933019-03 თარიღი: 26.11.2019; N16-031935340-03 თარიღი: 19.12.2019; N12-031935381-03 თარიღი: 19.12.2019; N12-031935382-03 თარიღი: 19.12.2019; N12-0319354134-03 თარიღი: 20.12.2019 და N12-031935836-03 თარიღი: 24.12.2019, რომლებითაც, ტექნიკური ხასიათის ცვლილებებთან ერთად, წარმოდგენილია ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული 16 პოზიცია, რომლებიც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიების რეკომენდაციების გათვალისწინებით, დადებითად შეფასდა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

17. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, თავდაცვის სამინისტროს IV ბრიგადის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.008.065; N01.17.10.008.066) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართობია 99222 კვ.მ., რომლის განვითარება დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 და საცხოვრებელი ზონა 6-ით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

18. „ქალაქი თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.007.059 და N01.14.05.007.467) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი განაშენიანების ფარგლებში, 9354 კვ.მ.-ზე განიხილება კოეფიციენტის ზრდა 3.5-დან 4.2-მდე და ნამატი ფართის 10% გადაეცემა მუნიციპალიტეტს, სოციალური საცხოვრებლისთვის.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქალაქ თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირის დუბლ-საპროექტო გზასა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობა „ვაკე-94“-ის ტერიტორიას შორის (ნაკვეთი 05/139) მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.14.005.197) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული, საოფისე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის ფართობია 12060 კვ.მ., რომელიც ვითარდება საცხოვრებელი ზონა 6-ით, 3.5 კოეფიციენტის ფარგლებში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. N25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის N01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი და მომდევნო ორი საკითხი არის კომპანია „სვეტის“ მშენებლობით დაზარალებულების საკითხის მოგვარება, რასაც ახორციელებს კომპანია „m^2“. ამ შემთხვევაში, კორექტირებით წარმოდგენილია კოეფიციენტის ზრდა 4.3-დან 5.7-მდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, ჭყონდიდელის ქ.N22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.024.018) საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 15 მარტის N436 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიის ფართობია 31000 კვ.მ., კორექტირებით წარმოდგენილია კ2 კოეფიციენტის ზრდა 4.9-მდე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში, მარცხენა სანაპიროსა და ა.მირცხულავას 9/11-ის მიმდებარე ამხანაგობა „გეომერიდიანი“-ის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო, საოფისე და სხვა ფუნქციის ობიექტები) შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2008 წლის 15 იანვრის N01/14 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმაში კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა გიორგი ებანოიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 25068 კვ.მ., ტერიტორიის სამშენებლო განვითარება, რომლის კ2 კოეფიციენტი არის 7.3.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ დამსწრე საზოგადობას მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 დადგენილება და 19 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე